თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3183036

ნომერი: AR1489006

თარიღი : 23.03.2017

გაცემის თარიღი : 06.04.2017

გაცნობის თარიღი : 06.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/63) ; ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი III , (ნაკვეთი N25/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გორდეზიანი პ/ნ 62001000795
- სოხუმი ფილიას ქ. N 58

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1489006 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში #01.14.02.025.062; #01.14.02.025.063 საკადასტრო ერთეულებზე მიმდინარე მშენებლობას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 15 მარტის #AR1486663 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე შალვა გელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.14.02.025.063, 01.14.02.025.062) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება. საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 16 მარტის #11 სხდომაზე და აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში #01.14.02.025.062; #01.14.02.025.063 საკადასტრო ერთეულებზე სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
რაც შეეხება განაცხადში მითითებულ თქვენს 30.12.2016 წლის #21018 წერილს (სამსახურში რეგისტრაციის 17.01.2017 #07/357-13, მერიაში რეგისტრაციის 16.01.2017 #19/0117016610-01), აღნიშნულზე იმსჯელა სამსახურმა და პასუხი გამოგეგზავნათ 2017 წლის 30 იანვარს.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
გიგზავნით, 2017 წლის 30 იანვრის #07/357-13 წერილის ასლს (ელ ვერსია).